ახალგაზრდა კომუნისტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი.

№ 242 (2962) ● ხუთშაბათი, 9 დეკემბერი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

იუბილარს — ჩვენი სპორტული „ვაშა"!

„ახალგაზრდა კომუნისტი" 40 წლისაა

სასახელო არსებობის ოთხი ათეული წელი განვლო რესპუბლიკის ახალგაზრდობის საყვარელმა გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა". დღეს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა გულთბილად აღნიშნავს საქართველოს კომკავშირის ამ მებრძოლი ორგანოს 40 წლისთავს, აღნიშნავს იმ დიდ დამსახურებას, რომელიც გაზეთს მიუძღვის ახალგაზრდა თაობების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში, მათს წარმატებებში სწავლისა და შრომის უბნებზე, ფიზკულტურასა და სპორტში.

დაარსების პირველი დღიდანვე „ახალგაზრდა კომუნისტი" მუდამ იდგა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ საბჭოთა ხალხისადმი, კერძოდ, ახალგაზრდობისადმი დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლის ავანგარდში. მისი მახვილი და მგზნებარე სიტყვა მძლავრად ჟღერდა და ათიათასობით ახალგაზრდა გულებს შემოქმედებითი შრომისა და ბრძოლის პათოსით აღანთებდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციის პერიოდებში, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ლიანდაგზე გადაყვანის დროს, საბჭოთა სამშობლოს მტრებთან ბრძოლისას... მისი მახვილი და ახალგაზრდულად მგზნებარე სიტყვა დღესაც ასევე მძლავრად ჟღერს, როცა ჩვენი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი ჩაბმულია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად პროცესში.

თავისი კეთილშობილური მოღვაწეობის 40 წლის მანძილზე „ახალგაზრდა კომუნისტი" მოიცავდა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და სისხლსავსე ცხოვრების ყველა უბანსა და ინტერესს. იგი მუდამ კეთილ დამრიგებლად და ერთგულ აღმზრდელად ედგა მხარში დაზგასთან თუ საკოლმეურნეო მინდვრებზე მშრომელ, სასწავლებლის მერხთან მჯდარ თუ ლაბორატორიებში მოფუსფუსე, სპორტულ სარბიელზე გასულ თუ სალაშქროდ გამზადებულ ახალგაზრდობას, საქმიანი და გულისხმიერი წერილებით ეხმარებოდა ჭაბუკებსა და ქალიშვილებს მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებში — პროფესიის არჩევასა თუ ოჯახის შექმნაში, სიძნელეებთან ბრძოლაში, უნერგავდა მათ საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მაღალ იდეალებს, პატიოსნებისა და სიმართლისთვის თავდადების, კოლექტივიზმისა და ურთიერთდახმარების სულისკვეთებას.

სახელოვანი იუბილარისადმი დღეს ყოველი მხრიდან დაძრულ მოლოცვებსა და კეთილ სურვილებს თავის ხმას უერთებს გაზეთი „ლელოც". ჩვენ მხურვალედ მივესალმებით ახალგაზრდა თაობების ჯანმრთელობისთვის, გაკაჟებისთვის, მათი სპორტული ოსტატობისა და მიღწევების ამაღლებისათვის ერთობლივ მეცადინეობაში ჩვენს კოლეგასა და თანამებრძოლს. „ახალგაზრდა კომუნისტი" მუდამ იყო და არის, კერძოდ, ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალათასიანი არმიის საყვარელი გაზეთი, რომელიც, ისევე როგორც სხვა უბნებზე, აქაც ჩვეული მგზნებარებით იღვწის ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის აღმავლობისათვის, ყოველმხრივ განვითარებული, სულიერად მდიდარი და ფიზიკურად სრულყოფილი ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის.

ჩვენი მხურვალე, სპორტული „ვაშა" 40 წლის მარად ჭაბუკ, მარად შემართულ, მარად საყვარელ იუბილარს!

დღეს ნომერში:

მოსკოვის „ტორპედომ" კვლავ გაიმარჯვა — 1-ლი გვ.

მოფარიკავეთა სტარტი — მე-3 გვ.

საბჭოთა პარაშუტისტების მსოფლიო რეკორდი — 1-ლი გვ

იზრდება სპორტის ოსტატთა რიგები — მე-3 გვ.

მიშელ ჟაზის ბედნიერი წელიწადი — მე-4 გვ.

სპორტული საათი...

◆ ფერგანა, 8 დეკემბერი. პარაშუტისტებმა რ. სილინმა, ბ. პროხოროვმა, ა. დუდარმა, გ. ბასოვმა, ნ. მარუშევმა, ს. პოპოვმა, პ. ოსტროვსკიმ, ვ. კუდრევატიხმა და ა. რეპენკომ დღისით კომბინირებულ ხტომაში დაამყარეს მსოფლიოს ახალი რეკორდი — 1.000-მეტრიანი სიმაღლიდან გადმოხტომის შემდეგ წრის ცენტრიდან მათი საშუალო გადახრა შეადგენდა სულ რაღაც 91 სანტიმეტრს. ამრიგად, საბჭოთა სპორტსმენებმა მოხსნეს ამერიკელ პარაშუტისტთა მსოფლიო მიღწევა — 206 სმ. თავიანთი რეკორდი გამარჯვებულებმა მიუძღვნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალ XXIII ყრილობას.

◆ ტოკიო, 8 დეკემბერი. „სამთა ტურნირის" მეორე მატჩში სსრ კავშირის ჩემპიონები — მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელები შეხვდნენ იაპონიის ნაკრებს და დაამარცხეს იგი — 2:0. გოლები გაიტანეს ბრეჟნევმა და მიხაილოვმა. როგორც ცნობილია, პირველ მატჩში ტორპედოელებმა მოუგეს შვეციის კლუბ „აიკს" (სტოკჰოლმი) — 3:0.

◆ ტალინი, 8 დეკემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა XXV საკავშირო ჩემპიონატზე დღეს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. 2 ქულა მოიხვეჭა სუეტინმა: მან მოუგო ფურმანსა და გუფელდს. კორჩნოი დამარცხდა ბუხმანთან, ხოლო ბრონშტეინი — სახაროვთან.

ი. ნილსონი: პრეტენდენტი სულ ცოტა... ათია

სტოკჰოლმი, 8 დეკემბერი. „წლევანდელ სეზონში სულ ცოტა 10 მოციგურე ვაჟი განაცხადებს სერიოზულ პრეტენზიას მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის სახელის მოპოვებაზე", — უთხრა ჟურნალისტებს იონი ნილსონმა. მსოფლიო ჩემპიონთან, ნორვეგიელ პ. ივარ მუსთან და სხვა მოციგურეებთან ერთად იონი ახალ სეზონში პირველი შეჯიბრების სტარტს აიღებს 12 დეკემბერს ოსლოში.

გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ ი. ნილსონის ვარჯიშს, რომელსაც იგი შეუდგა ოქტომბრის მიწურულში ცნობილ საწვრთნელ ბაზაზე ვოლოდალენში. შვეციის ამ ხაუცხოო სარბიელზე კიდევ უფრო ადრე სავარჯიშოდ ჩავიდნენ სტუმრები — ნორვეგიის უძლიერესი მოციგურე ვაჟები.

მწვრთნელის ე. ულანდერის ხელმძღვანელობით ი. ნილსონი ინტენსიურად ემზადება შეჯიბრებებისთვის. დღეში იგი ციგურებით 15-20 კილომეტრს ფარავს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სპრინტერული თვისებების გამომუშავებას.

„დაგენს ნიუჰეტერის" კორესპონდენტის შეკითხვაზე — „როგორია თქვენი მიზანი ამ სეზონში?" — გამოჩენილმა შვედმა მოციგურემ ასეთი პასუხი გასცა: „ისეთ ფორმაში შევიდე, რომელიც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულთა მოხვეჭის საშუალებას მომცემს".

ჰოკეის სეზონი დღითი-დღე ძალაში შედის. ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც ევროპის მრავალ სახელმწიფოში, მიმდინარეობს ჩემპიონატები. უკვე გაიმართა რამდენიმე შეხვედრა „უმაღლეს დონეზეც" — ქვეყნების ნაკრებ გუნდებს შორის. მთელი ეს პროცესი „დამიზნებულია" სეზონის უმთავრეს შეჯიბრებაზე — მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც მომავალი წლის მარტში გაიმართება ლიუბლიანას.

ამ ასპარეზობისთვის ემზადება მსოფლიოს ჩემპიონიც — სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდიც. მან უკვე 4 საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გამართა ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის ჰოკეისტებთან. პრაღაში ჩვენმა ნაკრებმა ორივე შეხვედრაში მარცხი განიცადა — 2:3 და 2:4. სამაგიეროდ, მსოფლიოს ჩემპიონი წარმატებით გამოვიდა სტოკჰოლმის ყინულოვან სარბიელზე. სახელგანთქმული „ტრე კრუნური" — შვეციის ეროვნული ნაკრები — ორჯერ იქნა ძლეული: 5 დეკემბერს — 3:2, ხოლო გუშინწინ, 7 დეკემბერს — 7:1.

სურათზე: შვეციისა და საბჭოთა ჰოკეისტების პირველი შეხვედრის მომენტი. შეტევა „ტრე კრუნურის" კარზე.

ტელეფოტო პრესენს ბილდ-საკდესისა.

ცურვა... საღათას ძილში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივ დადგენილებას მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების შესახებ ოპერატიულად გამოეხმაურნენ თბილისის სპორტკავშირი და განათლების განყოფილება. ცურვის საქალაქო ფედერაციასთან ერთად მათ განიზრახეს დედაქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლეთა შორის მასობრივი შეჯიბრების გამართვა ცურვაში. ეს კარგი ღონისძიება მიზნად ისახავს პერსპექტიული ბავშვების გამოვლინებას სპორტსკოლების დასაკომპლექტებლად და საშუალო სკოლებისთვის დახმარებას. მაგრამ დასახმარებლად გაწვდილ ხელს ბევრგან ზურგი შეაქციეს.

ასპარეზობის ორგანიზატორებმა ქალაქის ყველა საშუალო სკოლას დროულად შეატყობინეს შეჯიბრების დებულება და ვადები. ბავშვების სასპარეზოდ გამოიყო თბილისის საუკეთესო დახურული აუზები, შეირჩნენ მწვრთნელები, მსაჯები... გასული კვირა დაეთმო ორჯონიკიძის, 1 მაისისა და ლენინის რაიონებს. მათ შესაბამისად უნდა ესპარეზათ ვაკის, „დინამოსა“ და „შრომითი რეზერვების“ აუზებში.

მონაწილენი სამ ასაკობრივ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. ყველაზე პატარები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 25 მეტრზე, საშუალო ასაკისანი — 50 მეტრზე და უფროსკლასელები — 100 მეტრზე ცურვაში.

1 მაისის რაიონიდან მოსწავლეები მასობრივად უნდა გამოეყვანა ყველა საშუალო სკოლას, სინამდვილეში კი, ბავშვები გამოიყვანა მხოლოდ შვიდმა — მე-19, 21-ე, 27-ე, 29-ე, მე-100, 101-ე და 115-ე სკოლებმა და მათგანაც 27-ე და 29-ე სკოლები (დირექტორები ს. გველესიანი და ნ. ბულისკირია)... თითო ბავშვით დაკმაყოფილდნენ, მე-19 სკოლამ (ი. ხაჩიძე) კი 2 ბავშვი მოავლინა. „დინამოს“ აუზში გამართულ ამ შეჯიბრებაში სულ 61 ნორჩმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან მხოლოდ 5 (ისიც უმცროს ასაკში) გოგონა იყო. 1 მაისის რაიონის მე-17 (დირექტორი კ. ფანცულაია), მე-18 (ვ. შანიძე), მე-20 (ვ. ქვილითაია), 22-ე (ქ. ჩაჩუა), 24-ე (ა. მეტრეველი), 25-ე (რ. ეჩუბოვი), 28-ე (ო. მესხი), 35-ე (შ. დავითაია), 116-ე (მ. ფილიშვილი), 130-ე (მ. გიორგაძე) სკოლებმა და გახანგრძლივებული სწავლების მე-2 სკოლამ (ლ. მგალობლიშვილი) დუმილი არჩიეს.

ლენინის რაიონში დღის სწავლების 21 საშუალო სკოლაა, „შრომითი რეზერვების“ აუზში სასპარეზოდ კი მხოლოდ რვამ (მე-3, მე-4, მე-9, მე-10, მე-11, მე-13, მე-16, 119-ე) მოიყვანა 153 ბავშვი (მათგან 16 გოგონა). მე-16 სკოლა (დირექტორი ს. ბიბილეიშვილი) მხოლოდ 2 ბიჭის გამოგზავნას დასჯერდა, მე-3 სკოლამ (ლ. ლუდუშაური) 1 ბიჭი და 2 გოგონა მოავლინა. მაგრამ აი, მე-4 სკოლაში (დირექტორი ა. ქურიძე) ცურვის მოყვარული ვერც ერთი გოგონა ვერ „აღმოაჩინეს“.

როგორც ჩანს, თბილისის ყველა სკოლაში როდი გაეცნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უაღრესად მნიშვნელოვან ერთობლივ დადგენილებას! თანაც, ალბათ, თბილისის სპორტკავშირისა და განათლების განყოფილების მიმართვა ბევრგან უჯრაში ჩაკეტეს.

აბა სხვაგვარად როგორ აიხსნება მე-2 (დირექტორი ზ. სუხოვა), მე-6 (ს. მორჩილაძე), მე-7 (ვ. ანდღულაძე), მე-8 (ქ. ნახუცრიშვილი), მე-12 (გ. ჩეჩელაშვილი), მე-14 (გ. ცქიტიშვილი), მე-15 (ა. მათიკაშვილი), 112-ე (მ. გოგუაძე), 113-ე (მ. [illegible]), 114-ე (ა. შენგელია), 118-ე (ი. ბერაძე), 129-ე (ა. შარაშენიძე) სკოლების, აგრეთვე სკოლა-ინტერნატის (გ. ბაკურაძე) დირექციების საღათას ძილი?!

სულ სხვა სურათი იყო ვაკის აუზში. ორჯონიკიძის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარემ კ. სახვაძემ და სპორტსკოლის დირექტორმა გ. გუგუშვილმა განათლების განყოფილების დახმარებით რაიონის ყველა სკოლა დარაზმეს. ამიტომ იყო, რომ არც ერთი კოლექტივი არ დარჩენილა უსასპარეზოდ. ამ დღეს აქ ძალები სცადა 300 ბავშვმა, თუმცა აქაც მეტად მცირე იყო გოგონების რიცხვი — 10.

კვირას ვაკის აუზში იასპარეზებენ კალინინის რაიონის, „დინამოს“ აუზში — ოქტომბრის რაიონის და „შრომითი რეზერვების“ აუზში — 26 კომისრის სახელობის რაიონის სკოლები. იმედია, ისინი არ გაიმეორებენ იმ დაუდევრობას, რაც 1 მაისისა და ლენინის რაიონების განათლების განყოფილებებმა, სპორტსკოლების დირექტორებმა, სპორტკავშირების თავმჯდომარეებმა და სკოლების ხელმძღვანელებმა გამოიჩინეს.

ახალი გზით

ფიზკულტურის კოლექტივები

„3544 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მივყიდით 3744 ტონა ვაშლს!“. — ასეთი იყო ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა ვალდებულება. და აი, აქ გაზაფხულიდანვე შეუდგნენ უხვი მოსავლის მიღებისათვის საფუძვლის შექმნას. თავდადებით საქმიანობდა ოთხივე აგროგანყოფილება. არც მეურნეობის დამხმარე დარგებს — მეცხოველეობას, მეფუტკრეობასა და მებოსტნეობას ივიწყებდნენ. ხუმრობა როდია — მეურნეობის 2156 ჰექტარ მიწას 1.000-მდე მუშა-მოსამსახურე გაწვდეს, მოუაროს 605 ჰექტარ მსხმოიარე ხეხილს, 800 ჰექტარ ახალმოშენს, 100 ჰექტარ სახნავსა და სხვ.

აგროგანყოფილებებს შორის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ სათანადო ნაყოფი გამოიღო: პირობა გაანაღდეს. უხვმა მოსავალმა საგრძნობლად გაზარდა მეურნეობის საშუალო წლიური შემოსავალი, რამაც შარშანდელს შესამჩნევად გადააჭარბა.

შრომაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ III აგროგანყოფილება (მმართველი შ. ბედიანაშვილი), რომელმაც წლიური გეგმა 130 პროცენტით გაანაღდა, და IV აგროგანყოფილება (მმართველი ა. მახარობლიძე), რომელმაც წლიური გეგმა 100,3 პროცენტით შეასრულა.

სპორტულ გაზეთს ნაკლებად ეხება სამეურნეო საქმეებზე ლაპარაკი. და მაინც სწორედ ამით დავიწყეთ იმიტომ, რომ გული დაგვწყვიტა ფაქტმა: მეურნეობის ამ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით ახალგაზრდებსა და საშუალო ასაკის ისეთ ადამიანებს, რომლებსაც შრომასთან ერთად გართობაც უყვართ და სპორტიც, მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმიანობა კი ვერ პასუხობს შრომაში მოწინავე საბჭოთა მეურნეობის შესაძლებლობებს.

აქაურ ფიზკულტურელებს შარშან ბაზებიც ჰქონდათ და გუნდებიც ჰყავდათ. მათ განკარგულებაში იყო ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნები, საჭიდაო ასპარეზი. ვარჯიშობდნენ ფეხბურთის, ჭიდაობის, ფრენბურთისა და ჭადრაკის ჯგუფები, მაგრამ მათი საქმიანობა იმდენად უსისტემო იყო, ხოლო ჯგუფები — იმდენად მცირერიცხოვანი, რომ რაიონულ ტურნირებში ვერ მონაწილეობდნენ. არავის მოჰქონდა მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი. ახალგაზრდები ხშირად მოითხოვდნენ მუშაობის ფართოდ გაშლას, სხვა სახეობებში სექციების შექმნას, ახალი ბაზების მოწყობას.

დირექტორი გ. ასალაკი ახალგაზრდა მეურნეა და უყვარს ფიზიკური კულტურა ამიტომაც მან მხარი დაუჭირა სპორტის მოყვარულთა თხოვნას. მასობრივი მუშაობის ნაყოფიერად წარმართვისთვის ფიზკულტურის მეთოდისტიც აიყვანეს, მაგრამ მან არ გაამართლა. ფარცვანიამ (აქ მისი საგვარეულოც კი არ იციან) ორ კვირას „წაიმუშავა“, მერე კი, 4 თვის განმავლობაში, მხოლოდ ხელფასის მისაღებად მოდიოდა. ცხადია, ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობაც უმოქმედობის „დონეზე“ დარჩა. გაპარტახდა საჭიდაო სარბიელი, ბალახმა დაფარა ფრენბურთის მოედანი. გეგმები ფარატინა ქაღალდად იქცა. ფიზკულტურულმა კოლექტივმა შეწყვიტა არსებობა.

მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ შ. ზურაბაშვილმა და კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა უ. მარჯანიძემ ვერ აიმაღლეს ხმა უქნარა მეთოდისტის წინააღმდეგ, ვინაიდან იგი აქ სამუშაოდ „ვიღაცის“ რეკომენდაციით მოვიდა.

...მ. სომხიშვილს ბავშვობიდან უყვარს ფიზკულტურა და სპორტი. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 9 წელიწადს ხელმძღვანელობდა „კოლმეურნის“ გორის რაისაბჭოს, 3 წელს რაიონის სპორტკავშირს უძღოდა, ფიზაღზრდის მასწავლებლადაც უმუშავია და მასზე მინდობილ საქმეს მუდამ ბეჯითად ეკიდებოდა. საქმემ მოითხოვა და მ. სომხიშვილი, როგორც კარგი მუშაკი, ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში გაგზავნეს. სამიოდე თვის უკან იგი აქ პარტორგანიზაციის მდივნად აირჩიეს და ისიც ჩვეული ენერგიულობით ჩაინთქა საქმეში — მოიარა ყველა აგროგანყოფილება, გაეცნო მათ ავ-კარგს. შეისწავლა ნებაყოფლობითი ორგანიზაციების, მათ შორის, ფორმალურად არსებული საუბნო ფიზკულტურული საბჭოების საქმიანობაც, დარაზმა კომკავშირელები და მათი დახმარებით გადაახალისა საბჭოები.

მერე დირექტორთან ერთად შეიმუშავა მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის გარდაქმნის ღონისძიების პროექტი, რომელიც, პირველ ყოვლისა, სტადიონის მოწყობას, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების აგებას, საჭიდაო სარბიელის შეკეთებას, ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ჭიდაობაში, ჭადრაკსა და შაშში სექციებისა და გუნდების შექმნას ითვალისწინებს. მათ უსასყიდლოდ უხელმძღვანელებენ საზოგადოებრივი კადრები, რომელთა მომზადება თავად იკისრა პარტორგანიზაციის მდივანმა.

— ამას წინათ გავეცანით მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედისა და გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობების, გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა ვალდებულებებს, რომლებიც მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის, მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცების გზებს სახავენ. უდავოდ კარგი წამოწყებაა. განზრახული გვაქვს საფუძვლიანად შევისწავლოთ ისინი, შევუფარდოთ ჩვენს შესაძლებლობებს და შეძლებისდაგვარად გამოვეხმაუროთ. ვფიქრობთ, ვარკეთილელები შეჯიბრებაშიც კი გამოვიწვიოთ, — გვითხრა მ. სომხიშვილმა.

გვჯერა, რომ ბრეთის მეურნეობის ხელმძღვანელობისა და მუშა-მოსამსახურეთა მონდომება ყველა წინააღმდეგობას დაძლევს და ქარელის რაიონშიც ერთ-ორ წელიწადში იქნება მოწინავე, ყოველმხრივ აღჭურვილი ფიზკულტურული კოლექტივი.

ო. ბელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ქარელის რაიონი.

თბილისელები — ბაქოს წრიულ რბოლაში გამარჯვებულნი

ამას წინათ ბაქოში გაიმართა საბჭოთა კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი წრიული მოტორბოლა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბაქოს, თბილისის, ორჯონიკიძის, სუმგაითის, სტეპანაკერტისა და სხვა ქალაქების სპორტსმენები. ასპარეზობაში კარგად გამოვიდნენ თბილისელები. 125 კბ სმ-ის მანქანებით რბოლა მოიგო ვ. ადელხანოვმა, 175-ანებში ყველას აჯობა ე. მანუკიანმა. II ადგილი დაიკავა ი. ლუდუშაურმა.



და მხოლოდ 350 კბ სმ-ის მოტოციკლებით რბოლა დამთავრდა მასპინძელთა გუნდის წევრის ა. პოლოსოვის გამარჯვებით. თბილისელი რ. პატიაშვილი აქ II ადგილზე გავიდა.

სურათზე: რბოლის ერთ-ერთი მომენტი.
ფოტო და ტექსტი
გ. მგალობლიშვილისა.

სასიგნალო ტრენაჟერი

სპორტში თანამედროვე მიღწევათა დონე იმდენად მაღალია, რომ შედეგების გაუმჯობესება წამის მეათედებით, სანტიმეტრებით ან გრამებით სპორტსმენთა, მწვრთნელებისა და მეცნიერთა საფუძვლიან ერთობლივ შრომას მოითხოვს.

წვრთნის უფრო სრულყოფილი მეთოდების ძებნას ხშირად ისეთი სპეციალური აპარატურის ან დანადგარის შექმნამდე მივყავართ, რომლებიც გარკვეული ტექნიკური ჩვევების, ძალის, გამძლეობის და მოძრაობათა სისწრაფის გამომუშავებას უწყობენ ხელს.

სასიგნალო ტრენაჟერი მუშაობს ტემპის მართვისათვისაა განკუთვნილი. იგი სპორტის ისეთ სახეობებში გამოიყენება, სადაც საწვრთნელი ვარჯიში ციკლური ხასიათისა არის: თხილამურებით რბენა, ველორბოლა, ჩვეულებრივი რბენა და ა. შ. ტრენაჟერი მცირე ზომის სპეციალურ ელექტრომეტრონომს წარმოადგენს, რომელიც სპორტსმენს გარკვეული სიხშირის, წყვეტილ სიგნალებს გადასცემს. ამ სიგნალების ტაქტში ადამიანს ვარჯიში უადვილდება. ამავე დროს, ხელსაწყო ინარჩუნებს მუშაობის გარკვეულ ტემპს და საჭიროებისდამიხედვით მის ვარირებას ახდენს. და თუ სიგნალიზაციას წინასწარ შევუთანხმებთ მუშაობას, შესაძლოა გაცილებით სწრაფად გამოვიმუშავოთ წინასწარ გათვალისწინებულ ტემპში წვრთნის ჩვევა.

საცდელი ტრენაჟერის ერთ-ერთი ნიმუში, რომელიც სურათზეა აღბეჭდილი, აწყობილია კოლოფში, რომლის ზომებია 80×40×20 და რომელიც 100 გრამამდე იწონის. გარედან მონტირებულია გადამრთველი, რომლის მდგომარეობასთან დაკავშირებით იცვლება სიგნალიზაციის სიხშირე. აპარატში გამოყენებულია „ტმ 2 მ-ის“ ტიპის მინიატურული ტელეფონი, რომელიც სპორტსმენის ყურთან მაგრდება. ამ ტრენაჟერის კონსტრუქცია გაანგარიშებულია ტრეკზე საშუალო დისტანციებზე მრბოლელთათვის. იგი წუთში 120, 113, 106, 100 სიგნალს აღიქვამს.

ტრენაჟერმა გამოცდა გაიარა მოსკოვის ტრეკზე სსრ კავშირის უძლიერეს ველოსიპედისტთა მსოფლიო პირველობისთვის მზადების პერიოდში. ველოსიპედისტები იოლად ახერხებდნენ გადამრთველის გადართვას სვლის დროს, რაც თავის მხრივ სისწრაფის შეცვლის და, მაშასადამე, დისტანციის ცვალებადი ინტენსიობით გავლის საშუალებას იძლეოდა.

შემოწმების დროს ჩატარებულმა ანალიზმა და წამყვან მწვრთნელებთან და სპორტსმენებთან საუბარმა დაგვარწმუნა, რომ ტრენაჟერის წარმატებით გამოყენება შესაძლებელია: 1. გასავეთარებელი სისწრაფის ორიენტაციისთვის, 2. წინასწარი დავალებით ზუსტი პედალირების ჩვევის გამომუშავებისთვის, 3. დისტანციის ზუსტი გრაფიკით დაძლევისა და 4. საწვრთნელი დატვირთვის ოპერატიული რეგულირების მიზნით.

ტრენაჟერის კონსტრუქცია მარტივია. მისი აწყობა საშუალო კვალიფიკაციის რადიომოყვარულსაც კი შეუძლია. ტრენაჟერის სხვა ნიმუშებში სიგნალიზაციის სხვა სიხშირეა გამოყენებული. ტრენაჟერის ფართო გამოყენება სპორტსმენებს უდიდად შეუწყობს ხელს ოსტატობის ამაღლებაში.

ი. ვარდიშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი.

ჯ. ზანდუკელი,
სპორტის ოსტატი.

„ლელოს“ წერილის კვალდაკვალ

„ოსტატობის ნაცვლად — ხულიგნობა“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 11 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში ლაპარაკი იყო ტყიბულის „მეშახტისა“ და ფოთის „კოლხიდის“ მატჩში ფოთელ ფეხბურთელთა მიერ ჩადენილ უწესობათა შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. არჩაია გვატყობინებს, რომ აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა ფოთის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა და მიიღო შემდეგი ზომები:

„კოლხიდის“ კაპიტანმა ე. ცეკვაშვილმა არა თუ ვერ შეძლო წესრიგი დაემყარებინა კოლექტივში, იგი თავად იყო მომხდარი ინციდენტის ერთ-ერთი წამომწყები. იგი მოხსნილია გუნდის კაპიტნობიდან, დისკვალიფიცირებულია ერთი თამაშით და გამოეცხადა საყვედური.

ფეხბურთელებს — გ. ტოგონიძეს, გ. ალმასიას, მ. ბურჭულაძეს, რომლებიც მატჩის მსვლელობაში ეკამათებოდნენ მსაჯს, გამოეცხადათ საყვედური.

საკავშირო ალკკ წევრების — ე. ცეკვაშვილის, მ. ბურჭულაძისა და გ. ალმასიას საკითხი განსახილველად გადაეცა საქართველოს ალკკ ფოთის საქალაქო კომიტეტს.

მოხეტიალე შეჯიბრება და მწვრთნელის უტაქტობა

საკლასიფიკაციო შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელშიც ჩვენი დედაქალაქის 12 უძლიერესი ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა, „ბურევესტნიკის" სპორტულ დარბაზში გაიმართა.

ასპარეზობის პირველი დღე მ. ჩიხლაძის (სპი), ნ. სკრეპუნოვასა და ო. გობეჯიშვილის (ორივენი — ფიზკულტურის ინსტიტუტი) წარმატებით აღინიშნა, — მათ კარგად შეასრულეს სავალდებულო პროგრამა და ხელთ იგდეს ლიდერობა.

მეორე დღეს შეჯიბრებამ „მისამართი" შეიცვალა (როგორც ეს ხშირად ხდება მხატვრულ ტანვარჯიშში). ამ ამბის გაგებისთანავე სპორტის ამ სახეობის გულშემატკივრებმა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს მივაშურეთ. ასპარეზობაზე მივედით, როცა მისი ნახევარი უკვე დამთავრებული იყო.

... მთავარმა მსაჯმა ნებისმიერი ვარჯიშის შესასრულებლად მოსწავლე ს. მელიქსეტიანი გამოიძახა. როცა მან ვარჯიში დაასრულა, მსაჯთა ტაბლოებზე ასეთი შეფასებები გამოისახა: 9,9 და 9,5 ქულა. მათგან 9,5 აჩვენეს რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯებმა თ. ზურაბიშვილმა და ა. ტიუვაევამ, ხოლო 9,9 — საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ნ. სალუქვაძემ (ს. მელიქსეტიანის მწვრთნელმა). სალუქვაძეს „არ მოეწონა" კოლეგების მიერ სამართლიანად ნაჩვენები ქულები (მისი მოსწავლე ამ შეფასებით კარგავდა სპორტის ოსტატობის ნორმის შესრულების შანსებს), ჯერ ხმამაღლა გამოთქვა საყვედური, მერე კი, მთავარ მსაჯთან 20-წუთიანი კამათის შემდეგ, დემონსტრაციულად დასტოვა შეჯიბრება. და ეს იმ დროს, როცა ოსტატობის ნორმის შესრულებისთვის ბრძოლას წარმატებით განაგრძობდა მისი ორი აღსაზრდელი — სკრეპუნოვა და გობეჯიშვილი.

ნებისმიერ პროგრამას ლიდერთა მდგომარეობა არ შეუცვლია. 55,1 ქულით I ადგილზე დამკვიდრდა მ. ჩიხლაძე (მწვრთნელი თ. ზურაბიშვილი). მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ნ. სკრეპუნოვა (54,45 ქულა) და ო. გობეჯიშვილი (54,25 ქულა). სამივემ გაიმეორა სპორტის ოსტატის ნორმა. IV ადგილზე მყოფმა ი. სვანიძემ (მწვრთნელი ა. ტიუვაევა) — 54,15 ქულით პირველად შეასრულა ეს ნორმა, რაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტის დიდი წარმატებაა.

ი. იუნაევი.

• • •

სურათზე: მ. ჩიხლაძე ვარჯიშისას.

ფოტო ავტორისა.

უყურადღებოდ დაწერილი ბროშურები

ქართული ენის სიწმინდის დაცვა საზოგადოების ყოველი წევრის, ყოველი მოქალაქის დიდი ვალია. ჩვენც, ფიზკულტურისა და სპორტის დარგის მუშაკებს, გვმართებს ამ მხრივ განსაკუთრებული ზრუნვა, ვინაიდან უამისოდ ჯანმრთელობის განმტკიცებას, მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდას დიდ ასპარეზსა და ფართო აუდიტორიას ვერ მოვუპოვებთ. ჩვენი ვალია მივაწოდოთ საზოგადოებას სერიოზულად დამუშავებული, გასაგები ენით დაწერილი მასალა და ამავე დროს ფაქიზად მოვექცეთ დედაენის სიწმინდის დაცვას.

სწორედ ამ თვალსაზრისით გვსურს განვიხილოთ ამას წინათ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მიერ გამოქვეყნებული ბროშურა „სამკურნალო ტანვარჯიში ბინაზე სიმსუქნის დროს", რომლის ავტორები არიან ქ. ქლენტი და ნ. ავალიანი.

ავტორების წინაშე საკმაოდ სერიოზული ამოცანა იდგა: შეერჩიათ ვარჯიშები ჭარბად გასუქებული ადამიანებისთვის, ხოლო მათი შინაარსი გადმოეცათ **გასაგები ენით**, მით უფრო, რომ ასეთი ვარჯიშების შესრულება გათვალისწინებულია შინ (და არა „ბინაზე").

როგორ დაძლიეს ავტორებმა ამოცანა?

ბროშურაში იმდენი დაუხვეწავი, სტილისტურად და გრამატიკულად გაუმართავი აზრი და უსწორო გამოთქმაა, რომ ეჭვი გვეპარება — შეძლებს კი ვინმე შემოთავაზებული ვარჯიშების გაგებას და, მით უმეტეს, შესრულებას?!

დავასახელოთ ზოგიერთი ნიმუში:

ვარჯიში 7. ს. მ. **(საწყისი მდგომარეობა. — ნ. შ.)** — ფეხმლით დგომი (?), განმკლავი, ხელის თითები მუშტში (?) (გვ. 10).

ვარჯიში 8. ს. მ. — ზურგზე წოლი (?)... (გვ. 11).

ვარჯიში 9. ს. მ. — ზურგზე წოლი (?); თვლაზე 1 — ფეხების მოხრა (ღუნვა); თვლაზე 2— წინშვერი (ფეხების გამართვა) (გვ. 11).

ვარჯიში 10. ს. მ. — ჩოქბუქნი (გვ. 12).

ვარჯიში 1 (კომპლექსი 2). სიარული წინსვლით (გვ. 14).

ვარჯიში 6. თვლაზე 1 — ზნექი მარცხნივ, მარჯვენა ხელქნევით თავის უკან და მარცხენა ხელქნევა უკან (გვ. 16).

ვარჯიში 4. თვლაზე 1 —ბრუნით მარჯვნივ, მარჯვენასი მოხრა, ხელები მუხლზე (გვ. 21).

ვარჯიში 15. ს. მ. — სახით სკამისკენ 1-1,5 ნაბიჯზე დგომი, დოინჯი (გვ. 26).

თვლაზე 1 — მარჯვენის გადაქნი სკამის ზურგის გადაცილებით (გვ. 26).

განა აქ კაცი რამეს გაიგებს?

ამას გარდა, ძალიან გვეეჭვება, ამ ბროშურამ დიდი სარგებლობა მოუტანოს ჭარბად გასუქებულ პირებს, ვინაიდან მასში დაავადების თითოეულ კატეგორიაზე (სულ 3 კატეგორიაა) მოცემულია ვარჯიშთა თითო კომპლექსი. კომპლექსის ხმარების ხანგრძლიობა უთუოდ არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს. ამრიგად გამოდის, რომ ერთი თვის მოხმარების შემდეგ ეს ბროშურა გამოუსადეგი ხდება. ბროშურაში ხშირადაა ნახმარი: გულმკერდ-დიაფრაგმული სუნთქვა. ვარჯიშის ბევრი შემსრულებლისთვის ასეთი სუნთქვა... ჩინური ანბანია.

ასეთივე შეცდომებით ხასიათდება ამავე ავტორების მეორე ბროშურა „სამკურნალო ტანვარჯიში ბინაზე ჰიპერტონიული დაავადების დროს" (სანიმუშოდ ერთი „ვარჯიში": ვარჯიში 14. ს. მ. სკამზე ჯდომი, კეფის და კისრის უკანა და გვერდითი ზედაპირის ღრმა ხელსმა ზევიდან ქვევით. გვ. 35).

ხსენებულ ბროშურებში მოიპოვება სხვა სახის შეცდომებიც.

მომავალში ასეთი გაუგებრობებისა და შეცდომების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ავტორებმაც და გამომცემლობებმაც უფრო მეტი პასუხისმგებლობა იგრძნონ ფიზკულტურისა და სპორტის დარგში ლიტერატურის გამოცემისას.

ნინო შიშნიაშვილი,

ქართული სპორტული ტერმინოლოგიის კომისიის წევრი, საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი.

ხვალ თასია!

ქ. ორჯონიკიძეში 10 დეკემბერს დაიწყება და ოთხ დღეს გასტანს სსრ კავშირის თასის გათამაშება ფარიკაობაში. ამ ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობენ სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. კოსტავა, სპორტის ოსტატები რ. გოშაძე, ი. აკოფოვი (დაშნა), მ. კოხრეიძე, რ. კეკელია (რაპირა — ქალები), მ. სახვაძე, გ. ლორთქიფანიძე, ა. გოგელია და დ. შარაშენიძე (ესპადრონი).

თუ გასულ წლებში თასის გათამაშებისას მხოლოდ პირადი შეჯიბრება იმართებოდა, ამჟამად მას დაემატა გუნდური ასპარეზობაც.

ქართველ სპორტსმენებს სსრ კავშირის თასის გათამაშებაში კარგი ტრადიციები აქვთ. 1961 წელს სამი სპორტსმენი — ი. ოსიპოვი, გ. კოსტავა და ნ. ასათიანი გახდნენ თასის მფლობელები. შარშან კი მ. სახვაძემ დაისაკუთრა ესპადრონისტთა შორის ეს დიდი ჯილდო.

ა. გოგელია,

სპორტის ოსტატი.

წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ქართულ ჭიდაობაში** — გ. კახაბრიშვილს (თბილისი, სკა), გ. ბალხამიშვილს (კასპი, „კოლმეურნე").

• • •

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **კრივში** — რ. რატიანს (თბილისი, „ბურევესტნიკი"), მ. ატოიანს (თბილისი, „დინამო"; **ცურვაში** — ვ. პესტერევს (თბილისი, „განთიადი"), ა. იოაკიმიდის (თბილისი, „დინამო"); **მძლეოსნობაში** — რ. იანშინას (თბილისი, „დინამო"), ი. დელა-როსას (თბილისი, „განთიადი"), ქ. კახიშვილს (რუსთავი, „განთიადი"); **სამბოში** — ვ. პეტრიაშვილს, ს. ბლარაშვილს (ორივენი — თბილისი, „დინამო").

XII ტრადიციული...

12 წლის წინათ თბილისის სპორტკავშირმა ქალაქის ახალგაზრდებისთვის პირველად ჩაატარა მასობრივი ასვლა მწვერვალ ყუროზე (4095 მ), რითაც საფუძველი ჩაეყარა დედაქალაქის ახალბედა მთამსვლელთა ტრადიციულ მასობრივ ასვლებს.

თბილისის ტრადიციულ ალპინიადაში აიდგეს ფეხი გ. ქართველიშვილმა, ი. შეყრილაძემ, შ. მესტვირიშვილმა, ძმებმა ნ. და ბ. ბაქრაძეებმა, ი. ხირსელმა და სხვა მრავალმა, რომლებიც ამჟამად ოსტატობის ნორმას ასრულებენ.

წლევანდელ, XII ტრადიციულ ალპინიადაში მონაწილეობა მიიღო 100 თბილისელმა ახალგაზრდამ — საწარმოების, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა.

... და აი, დილაადრიანად ავტობუსი დაიძრა ყაზბეგისკენ. ღრუბლიანი დღე იყო. საგრძნობლად ციოდა. ფასანაურს ზევით უფრო აცივდა, თოვაც დაიწყო და გარემო ნისლში გაეხვია. იშვიათად ახსოვს კაცს, ოქტომბრის პირველ ნახევარში რომ ასეთი თოვლი მოსულიყოს...

ახალგაზრდები გაკვირვებით უცქერიან ჩამოთოვლილ მთებს. ცხვრის ფარები, რომლებიც ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე მიდიან, გაჭირვებით მიიკვლევენ გზას თოვლში. დასველებულ ნაგაზებს კუდები ჩამოუშვიათ და უკან მისდევენ ნაბადში გახვეულ მწყემსებს.

როგორც იქნა თავი დავაღწიეთ ცხვრის ფარებს, ნისლით დაბურული ჯვრის უღელტეხილი გადავიარეთ და კობში ამოვყავით თავი. ჩავუქროლეთ სოფელ ყანობს და მალე ყაზბეგში ჩავედით. 5 საათზე უკვე თერგისა და ხდისწყლის შესართავთან ვიყავით. შემოგვეგებნენ თბილისის უნივერსიტეტის ალპინიადის მონაწილენი. ავდარს ძალიან გაუწვალებია ბიჭები.

ხეობაში ქარი ქრის, თოვს... ხასწრაფოდ ვშლით კარვებს. მთელი ღამე თოვს. დროდადრო ვბერტყავთ კარვებს, გვეშინია თოვლმა არ დაგვინგრიოს თავშესაფარი.

სადღაა „ტიალო დარიალაო, კლდენი ხარ ცარიალაო"? კლდეები ერთიანად ქათქათა სამოსშია გახვეული.

ორი დღე გადაუღებლად თოვს. შეჩერება აღარ შეიძლება და აი, მოწინავე ჯგუფით გავდივართ ხდის ხეობაში, მუხლამდე თოვლს ვარღვევთ და ვაწყობთ საიერიშო ბანაკს. მეორე დღეს აქ უკვე 100 კაცმა მოიყარა თავი.

ცამ პირი გაიხსნა. ყინვამ იმძლავრა. ორ ჯგუფად ვიყოფით: ახალბედები ავლენ მალოჩოჩქოლზე (3900 მ), ხოლო უფრო გამოცდილნი — მწვერვალ გორზე (4200 მ).

დაიწყო იერიში ორ მწვერვალზე. მალოჩოჩქოლზე დილის 3 საათზე გასულმა 36-კაციანმა ჯგუფმა საღამოთი მიაღწია მწვერვალს, ხოლო მეორე ჯგუფმა გაიარა კლდოვან-თოვლიანი ფერდობები, გავიდა გორის მყინვარზე და იქ ღამის გასათევად დაბანაკდა. ბანაკი დილის 5 საათზე აიშალა. ბიჭები მკერდამდე თოვლს მიაპობდნენ, მაგრამ 13 საათზე უკვე მწვერვალზე იყვნენ...

დ. ოზოლაძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ახალი ამბები

● ტალინი, 7 დეკემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა **XXV** საკავშირო ჩემპიონატზე შედგა **X** ტური. იგი საკმაოდ მშვიდობიანი გამოდგა: 5 დამთავრებული პარტიიდან მხოლოდ ერთში იყო ფიქსირებული გამარჯვება: ტაიმანოვმა „არ დაინდო" მიკენასი. შტეინ — კერესის პარტიაში ცხარე ბრძოლის შემდეგ მეტოქენი 34-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა ლეპეშკინ — გუფელდის, სახაროვ — ვასიუკოვის, სიმაგინ — ბრონშტეინისა და ფურმან — ბიხოვსკის პარტიები. შეჯიბრების ლიდერი პოლუგაევსკი მოგების შანსებს ინარჩუნებს გადადებულ შეხვედრაში ხასინთან. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

● **ბელცი, 7 დეკემბერი.** მოჭადრაკე ქალთა **XXV** საკავშირო ჩემპიონატზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ბორისენკომ სძლია იდელჩიკს, ბელავენეცმა მოუგო სკეგინას. კოზლოვსკაია — ე. რუბცოვას, კონოპლიოვა — ზატულოვსკაიას, ო. რუბცოვა — არჩაკოვას, სკეგინა — იგნატიევასა და ბელავენეც — პოპრუკაილოს შეხვედრები ყაიმით დასრულდა.

● **თელ-ავივი, 7 დეკემბერი. ისრაელის ნაკრებთან პირველი მატჩი გამართეს აქ მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელებმა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0. ბურთების ავტორები არიან ამბარცუმიანი და პონედელნიკი. მორიგ მატჩს საბჭოთა ფეხბურთელები ისრაელის ნაკრებთან გამართავენ ხაიფაში 14 დეკემბერს.**

ტაშკენტის რესპუბლიკურ საჭადრაკო-საშაშო კლუბში ამჟამად მიმდინარეობს სსრ კავშირის XI ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში.

სურათზე: ოსტატ ნ. სრეტენსკის (კალინინი) და დიდოსტატ ზ. ცირიკის (ხარკოვი) შეხვედრა.

ფოტო რ. შამსუტდინოვისა (საკდესი).

ოპერაცია „თამაშგარე მდგომარეობა" გრძელდება

საერთაშორისო საფეხბურთო წრეები კარგა ხანია შეშფოთებით ელიან იმ ბრძოლის ფინალს, რომელსაც უცხოეთის პრესაში „ოპერაცია თამაშგარე მდგომარეობა" უწოდეს. ლაპარაკია ფიფა-ს გადაწყვეტილებაზე გადაისინჯოს ამჟამად არსებული თამაშგარე მდგომარეობის წესი და შეიცვალოს იგი თავდამსხმელთათვის უფრო ლიბერალური ფორმულით.

თავად ეს იდეა ახალი არ არის. ჯერ კიდევ ადრე, როცა თამაშგარე მდგომარეობა გულისხმობდა მოწინააღმდეგე კარის წინ დარჩენილ არა ორ, არამედ სამ მოთამაშეს, სულ უფრო ხშირად და ხმამაღლა გაისმოდა პროტესტის ხმები. ჩიოდნენ არა მარტო ფორვარდები, რომ ნორმალურად ბურთის თამაში შეუძლებელი იყო მცველთა მიერ ე. წ. „ოფსაიდის ტაქტიკური გეგმის" ტოტალური გამოყენების გამო. უკმაყოფილონი იყვნენ გამოჩენილი სპეციალისტებიც და რიგითი მაყურებლებიც, რომლებიც ამ დაუსრულებელი 0 : 0 ანგარიშის მიღმა ფეხბურთის საყაიმო სიკვდილს ხედავდნენ. თამაში თამაშს აღარა ჰგავდა. საკმარისი იყო თავდამსხმელებს წამოეწყოთ რაიმე კომბინაცია, რომ ერთ-ერთი მცველი, რომელიც დანარჩენებზე უფრო ფეხმარდი იყო; წამსვე ღებულობდა სპრინტერის სასტარტო პოზას, ტყვიასავით გარბოდა წინ და გუნდსაც თამაშგარე მდგომარეობა გარანტირებული ჰქონდა. მსაჯის გაუთავებელი სასტვენისაგან ყურთასმენა იყო წაღებული.

მართლაც, უკიდურესად მკაცრი და სასტიკი იყო ოფსაიდის ძველი კანონი. თამაში ფორვარდისთვის ისეთ პირობებში, როცა პარტნიორის მხრივ ბურთის მოწოდებისას მას წინ უნდა ჰყოლოდა სულ ცოტა 3 მეტოქე, თითქმის შეუძლებელ საქმედ იქცა. და თუმცა ლოზუნგი „უშველეთ ფეხბურთს" კარგა ხანს უპასუხოდ რჩებოდა ფიფა-ს ტრადიციონალისტთა მხრივ, საღმა აზრმა და სპორტულმა ლოგიკამ მაინც გაიტანეს თავისი. სამსაჯო კოდექსში შეტანილ იქნა სათანადო კორექტივი: კერძოდ, ოფსაიდის კანონიდან ამოვარდა მესამე მოთამაშე, სწორედ ის, რომელიც ჩასაფრებული იყო თავის საჯარიმო მოედანზე სპრინტერის სასტარტო პოზაში. ეს მოხდა 1925 წელს. ფეხბურთმა შვებით ამოისუნთქა, თამაშს სახალისო ხასიათი მიეცა.

მაგრამ დრო გადის, ყველაფერი იცვლება. დადგა ჟამი, როცა სპეციალისტები ლაპარაკობენ კიდევ უფრო შეიზღუდოს თამაშგარე მდგომარეობის წესი, მიეცეს თავდასხმას საშუალება მეტი ეფექტით, მეტი სარგებლით გამოიყენოს თავისი საიერიშო ძალა. მით უმეტეს, რომ ახლა საყოველთაოდ ფეხი მოიკიდა სხვადასხვა სახის დაცვითმა სისტემამ — გაბატონდა „ბეტონი", „ზებეტონი", „მწმენდელი", ათასგვარი „ჯაჭვი" და „ბოქლომი". თამაშგარე მდგომარეობის გამოყენება კვლავინდებურად შედის დაცვითი ხაზების სტრატეგიულ არსენალში.

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რას გულისხმობს ოფსაიდის ახალი წესის პროექტი: ორივე საჯარიმო მოედნის ხაზი უნდა გაგრძელდეს გვერდითი ხაზების გადაკვეთამდე და ამ ორი ხაზის ფარგლებში არ მოხდება თამაშგარე მდგომარეობის ფიქსაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კარიდან 16 მეტრის დაშორებით ფორვარდს მოქმედების სრული თავისუფლება მიეცემა. არავითარი თამაშგარე!

ამ ახალი წესის დაკანონებაზეა ახლა დავა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში. მისი შემოღების მომხრე თითქმის უმრავლესობაა, მაგრამ არიან ტრადიციული მოწინააღმდეგეებიც, რომლებსაც მრავალი არგუმენტი მოჰყავთ იმის დასამტკიცებლად, რომ ფეხბურთს აუცილებლად სჭირდება ოფსაიდის წესის თანამედროვე რედაქცია და უმისოდ თამაში დაჰკარგავს თავის სპეციფიკას.

სულ ახლახან ფიფა-ს სამტაბო ბინაზე ციურიხში გაიმართა მსაჯთა კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა მთელი რიგი აქტუალური საკითხები. მთავარი მათგანი იყო, რასაკვირველია, ზემოაღნიშნული რთული პრობლემა.

მოხსენებით გამოვიდა თვით ფიფა-ს პრეზიდენტი სტენლი როუზი. კომიტეტმა დიდხანს იმსჯელა, იდავა და... ისევ ვერ მივიდა საბოლოო გადაწყვეტილებამდე. არბიტრთა მსოფლიოს უმაღლესმა ორგანომ რეკომენდაცია მისცა ფიფა-ში შემავალ ეროვნულ ფედერაციებს ექსპერიმენტის სახით განაგრძონ ოფსაიდის ახალი რედაქციის შემოწმება იმ სამოყვარულო გუნდების შეხვედრებში, რომლებიც დაკავებული არ არიან თავიანთი ქვეყნების ჩემპიონატებში. ეს არის და ეს. მხოლოდ არაოფიციალური და ამხანაგური მატჩების დონეზე კი, ჩვენი აზრით, შეუძლებელი იქნება ფეხბურთის წესების ამ ერთ-ერთი მთავარი, უმნიშვნელოვანესი პუნქტის „ყოფნა-არყოფნის" გადაწყვეტა. მით უმეტეს, რომ ასეთი ექსპერიმენტები ადრე უკვე წარმოებდა სსრ კავშირშიც და სხვა ქვეყნებშიც.

რ. ქორიძე.

გულისყური მაინც თამაშისკენ აქვს...

ფოტოეტიუდი ა. საკოვისა.

რეკორდებზე მუქარით

ივნისის იმ თბილ საღამოს ჰელსინკის სტადიონზე შეკრებილმა 30 ათასმა მაყურებელმა ნახა განუმეორებელი რბენა 5.000 მეტრზე გამარჯვებისთვის მებრძოლებმა — კენიელმა კიპჩონგ კეინომ და ფრანგმა მიშელ ჟაზიმ „ჩრდილში" დატოვეს სუნთქვაშეხუთული, წარმოუდგენელი ტემპით მთლად გამოფიტული... მსოფლიო რეკორდსმენი ამ დისტანციაზე, ცნობილი ავსტრალიელი რონ კლარკი. გაიმარჯვა ჟაზიმ — 13.27,6. ასე სწრაფად ეს დისტანცია არავის გაურბენია ევროპის კონტინენტზე.

• • •

ჟაზი დაიბადა 1936 წელს, უანში, საფრანგეთის ჩრდილოეთში, პოლონეთიდან გადმოსახლებული ღარიბი მეშახტის ოჯახში. ჟაზის მამასა და ბაბუას სილიკოზმა მოუღო ბოლო — მაღაროელთა შორის ფართოდ გავრცელებულმა ფილტვების დაავადებამ.

საქვესი მოგვითხრობს

საზღვარგარეთის სპორტსმენებზე

მიშელმა მამა დაჰკარგა 12 წლისამ და ვარაუდობდა, რომ სკოლის მიტოვება მოუხდებოდა (სადაც პირველი მოსწავლე თუ არა, შესანიშნავი ფეხბურთელი მაინც იყო) და შახტში იმუშავებდა. მაგრამ დედამისი მარიანა სატვირთო მანქანის მძღოლზე გათხოვდა და შვილებთან — მიშელთან და ალფრედთან ერთად პარიზს გადავიდა. ოჯახმა თავი შეაფარა პატარა ოთახს.

14 წლის მიშელს მაინც მოუხდა სწავლისთვის თავის დანებება. იგი მელიფტე გახდა, ორი წლის მერე კი სტამბაში შეგირდად დადგა.

და აი, 1952 წლის ნოემბერს, მისმა მეგობარმა ჟერარ მარზენმა დაიყოლია მიშელი მონაწილეობა მიეღო 3-კილომეტრიან კროსში. ჟაზი არ მივიდა. მაშინ მარზენი თავად ეწვია მიშელს, საწოლიდან წამოაგდო იგი და ხელთ გაცვეთილი სარბენი ფეხსაცმელები მიაჩეჩა.

ჟაზიმ ბევრ მეტოქეს გაუსწრო და მოიგო კროსი. ორშაბათს გაზეთმა „პარი-პრესმა" მოათავსა ჟაზის პორტრეტი წარწერით — „ის შეიძლება ცნობილი გახდეს". მიშელმა ჯიხურში ყველა გაზეთი შეისყიდა და ნაცნობებს დაურიგა. ერთი კვირის შემდეგ კი სხვა კროსი მოიგო. მერე გაეცნო რენე ფრასინელის, წარსულში ცნობილ მძლეოსანს, რომელმაც დაიწყო ჟაზის წვრთნა.

პირველ ხანებში ჟაზის სულ არ შეეძლო ძალების დაზოგვა. ფინიშის შემდეგ იგი ხშირად გრძნობასაც კი კარგავდა და სპორტსმენი საკაცით გაჰყავდათ. იმ დროიდან მას წარუშლელად შემორჩა დაუოკებელი სიფიცხე ბილიკზე ბრძოლაში. „მინდა გავიმარჯვო და ბრძოლაც მიყვარს. არ მეშინია ტანჯვისა — ჩემს ოჯახში ყველა იტანჯებოდა. საოცრად ამაყი ვარ და ვიცი, რომ სიამაყე მეხმარება ბევრს მივაღწიო".

ფრასინელის ხელმძღვანელობით ჟაზი წევდა სიმძიმეებს და დარბოდა. თუ დასაწყისში იგი ავტობუსზე დაგვიანებული კაცივით დარბოდა და მაინც იმარჯვებდა, 1956 წელს საფრანგეთის ჩემპიონობა მოიპოვა 1.500-მეტრიან დისტანციაზე, თანაც მეტად ტექნიკურად ირბინა და დაამარცხა საყოველთაოდ ცნობილი მიშელ ბერნარი. მელბურნში იგი მეშვიდე იყო.

ერთმანეთს მიჰყვებოდა წლები და ვარჯიშები. დილაობით იგი 7 საათზე დგებოდა და 12-15 მილს დარბოდა. „ეს შესანიშნავი იყო — რბენა მომუშავე გლეხების ახლოს; ტყეში უყურებ ფურ-ირმის გაელვებას, არბიხარ და ჩამორბიხარ ბორცვებზე, ახტები წაქცეულ ხეებსა და ნაკადულებს. ეს გაცილებით სასიამოვნოა, ვიდრე შენს ირგვლივ შემოჯარული სტადიონის ყურება", — ამბობს ჟაზი. მან და ფრასინელიმ წვრთნის მრავალი მეთოდი გამოცადეს, მაგრამ მიშელს ყველაზე მეტად მოეწონა შვედი გ. ოლანდერის სისტემა, რომლის მიხედვით უნდა ივარჯიშო „ბუნებრივი მეთოდით", ე. ი. უბრალოდ ბევრი ირბინო ყოველდღე.

ჟაზი აუცილებლად არ თვლის სპეციალური დიეტის დაცვასაც. ფინიკით, ქიშმიშით და ძირძურებით კვება, როგორც ამას ზოგიერთი მორბენალი აკეთებს, ჟაზის სრულებით არ მოსწონს. ერიდება მხოლოდ მეტად ცხიმიან კერძებს, ძირითადად კი მიირთმევს და სვამს იმას, რაც მოესურვება.

სპორტსმენის ცხოვრება ზუსტი რითმით გამოირჩევა. დილის 6 საათზე მიშელს აღვიძებენ გოგონები — 5 წლის პასკალი და 2 წლის ვერონიკა (ჟაზიმ ცოლი შეირთო 1957 წელს). ერთი ჭიქა მაგარი ყავის მერე სპორტსმენი თავისი სახლის მახლობელ ტყეში დარბის 15 კილომეტრს. შინ ბრუნდება 11 საათზე შხაპისა და საუზმისათვის. დღის მეორე ნახევარში მიემართება სამსახურში (მსახურობს მინერალური წყლების გამსაღებელ კომპანიაში). შვიდის ნახევარზე ამთავრებს სამუშაო დღეს და გოლფის მახლობელ მოედანზე ფეხშიშველი დარბის 15 კილომეტრს.

ტოკიოს ოლიმპიადის წინ ჟაზიმ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ „მისი" დისტანცია 5.000 მეტრია, მაგრამ ოლიმპიადამ მას დაფნა კი არ მოუტანა, არამედ უძლიერესებში „ყველაზე დაბეჩავებულის" სახელი. ჟაზი გულგატეხილი იყო და სპორტთან გამოთხოვება უნდოდა. და აი, მან მიიღო სპორტის მოყვარულთა წერილების გროვა. 70-წლიანები არწმუნებდნენ, რომ ცხოვრება მუდმივი ბრძოლაა და იგი არ უნდა დანებდეს წარუმატებლობას. მოზარდებიც თხოვდნენ არ წასულიყო ბილიკებიდან. და ჟაზი დარჩა.

წლევანდელი წელი ბედნიერი გამოდგა. ჟაზი რამდენიმე თვეში გახდა მსოფლიოს 3 რეკორდის მფლობელი: 3.000 მეტრზე, 2.000 მეტრზე და 1 მილზე რბენაში. მაგრამ იგი უფრო დიდზე ოცნებობს. მორბენალს კვლავინდებურად სჯერა, რომ მისი მთავარი დისტანცია 5.000 მეტრია...

გ. გუხოვცევი,
ა. სიჩევი.

• • •

სურათზე: მ. ჟაზი.
ფოტო „სპორტოვეცისა"
(პოლონეთი).

აუტსაიდერი გადის ფინალში

ასე გამოეხმაურნენ ფეხბურთის მიმომხილველები შვეიცარიის ნაკრების გასვლას მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. მათი აზრით, ჩრდილოეთ ირლანდია და ჰოლანდია ფინალში ბევრად უკეთესად გამოვიდოდნენ, ვიდრე აშკარა აუტსაიდერები — შვეიცარიელები.

ამის დასამტკიცებლად მოჰყავთ ასეთი ციფრები: შვეიცარიის ნაკრებმა თავისი არსებობის მანძილზე სულ 305 მატჩი ჩაატარა. აქედან 84 მოიგო, 171 წააგო და 50 ფრედ დაამთავრა. დადებითი ბალანსი შვეიცარიელებს აქვთ მხოლოდ მექსიკელებთან, შვედებთან, ლუქსემბურგელებსა და პორტუგალიელებთან.

ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი, სამხრეთი..., დასავლეთი,

▲ ვარშავა. უნივერსიადების საორგანიზაციო კომიტეტის ალმასკომის სხდომაზე დადგინდა ტოკიოს 1966 წლის უნივერსიადის გამართვის ვადა: 26 აგვისტო—4 სექტემბერი. სტუდენტთა საერთაშორისო ასპარეზობის პროგრამაში ამჯერად შევიდა მძლეოსნობა, კალათბურთი, ჩოგბურთი, ტანვარჯიში, ფარიკაობა, ცურვა, წყალბურთი, ფრენბურთი და ძიუ-დო.

▲ კოპენჰაგენი. მაგიდის ჩოგბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ბუდაპეშტის „მეტეორისა" და დანიის „ზორგენფრის" შეხვედრა დამთავრდა უნგრელთა გამარჯვებით — 5:0.

▲ სტამბოლი. აქ ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება ბოსფორის პრიზზე. უაღრესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ტურნირის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი: ჩეხოსლოვაკია — იუგოსლავია. პირველი ტაიმი 10 ქულის სხვაობით მოიგეს იუგოსლავიელებმა (42.32), მაგრამ შესვენების შემდეგ ჩეხოსლოვაკიელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და გამარჯვების მოპოვებაც — 73:72. მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ: ჩეხოსლოვაკიელები— ტომაშეკი (23 ქულა) და კონვიჩკა (18), იუგოსლავიელები — კოვაჩიჩი და ცვეტკოვიჩი — 16-16. ფინალში ჩეხოსლოვაკიელები შეხვდებიან მასპინძლებს — თურქეთის ნაკრებს.

▲ კატოვიცე. ადგილობრივმა გაზეთმა „სპორტმა" გამოაცხადა წლევანდელ სეზონში პოლონეთის საუკეთესო მძლეოსანთა სია: ქალები — კლობუკოვსკა, კირშენშტეინი, გერმინოვა, სობიესკა, შტრაუნსკა, ბიედოვა, რუკოვსკა, ფიგმეროვა; ვაჟები — მანიაკი, ძუძიაკი, ბადენსკი, ბარანი, ბოგუშევიჩი, ზიმნი, ვოდინსკი, მარტინეკი, ჩერნიკი, სოკოლოვსკი, შმიდტი, სოსგურნიკი, ბეგერი, სიდლო.

კინო

„თერთმეტი და ერთი"

ასე ეწოდება ახალ ესპანურ სპორტულ ფილმს, რომელშიც მოთხრობილია ფეხბურთის განთქმული მწვრთნელის ე. ერერას თავგადასავალი. იგი ადრე ესპანურ კლუბებში — „ატლეტიკოსა" და „ბარსელონაში" მუშაობდა, ახლა კი სათავეში უდგას მილანის „ინტერნაციონალეს".

ერერას გარდა ფილმის მთავარი მოქმედი პირებია მის „შვილად" წოდებული ლ. სუარესი და „ფეხბურთელთა ყოფილი მეფე" ა. დი სტეფანო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", **ტელეფონები:** რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო—3-95-30, სპორტული განყოფილება — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 66148
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 12923